



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 1 23 0001721587



15/12/2023

შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ გეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწესებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის ცვლილების თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გეგმიური მონიტორინგის გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის კრიტერიუმები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

1.4 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების გეგმიური მონიტორინგის წლიური გეგმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას.

1.5 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბერის №243 გადაწყვეტილებით - მისანიჭებელი კვალიფიკაცია: „ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობის ინჟინერიასა და მენეჯმენტში“ 0788.1.1, ხოლო 2021 წლის 30 ოქტომბერს №04/10-31 და 2022 წლის 23 ივნისის №04/06-91 წერილებით (ცენტრში რეგისტრაციის - 1161447, 30/10/2021, 699599, 23/06/2022) თანახმად საგანმანათლებლო დაწესებულებამ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, შემუშავებული დარგობრივი მასახიათებლის მიხედვით, შეუცვალა კვალიფიკაცია: 0732.1.3 „შენობის სისტემების ინჟინერიის ბაკალავრი“ და აცნობა ცენტრს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის 2023 წლის გეგმური მონიტორინგის გეგმის დამტკიცების შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 31 იანვრის №105313 ბრძანებით კი განისაზღვრა შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის განხორციელება.

2.2. „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შესახებ“ ცენტრის 2023 წლის 12 ივნისის №679070 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2023 წლის 29 ივნისს.

ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| | | | | |

| | | | | |
|---|---|--|--|--|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 01 დეკემბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი


აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 17 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
1. 2. მიჩნეულ იქნეს, რომ "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია განსაზღვრულია შემდეგი სახით: „შენობის სისტემების ინჟინერიის ბაკალავრი“, დეტალური სფერო - **0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია**;
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის №1721507 სხდომის ოქმის №3 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 15 დეკემბერს.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|----|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | შენობის სისტემების ინჟინერია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | N.243, 13.12.2019 |
| 5 | საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | შენობის სისტემების ინჟინერია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VI |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | შენობის სისტემების ინჟინერიის ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | კახა ბენდუქიძის კამპუსი დავით აღმაშენებლის ხეივანი N. 240 თბილისი 0159 საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | |
| 16 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2023 წლის 15 დეკემბერი |
| 17 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა | |
| 18 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 31/12/2026 |